

რეგიონებიდან თბილისში სასწავლებლად ჩამოსული ეთნიკური უმცირესობების აკადემიური და სოციალური ინტეგრაცია; იდენტობის საკითხები

2025 წლის ნოემბრის კვლევის ძირითადი მიგნებები

ავტორები: ნინო მჭავანაძე, ქართლოს ქარუმიძე, რევაზ ჩარკვიანი



UG ახალგაზრდობისა და სოციალური კვლევის ცენტრი

ცენტრი იკვლევს სხვადასხვა სოციალური ჯგუფის ღირებულებებს, დამოკიდებულებებს, გამოცდილებებს და ხელს უწყობს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის განვითარებას. დაფარვის არეალი: საქართველო

მონაცემების გამოყენებისას გთხოვთ, გამოიყენოთ ციტირების შემდეგი ფორმა:

APA სტილი: მჭავანაძე, ნ., ქარუმძე, ქ., & ჩარკვიანი, რ. (2025). „რეგიონებიდან თბილისში სასწავლებლად ჩამოსული ეთნიკური უმცირესობების აკადემიური და სოციალური ინტეგრაცია; იდენტობის საკითხები“. ახალგაზრდობისა და სოციალური კვლევის ცენტრი (YSRC), საქართველოს უნივერსიტეტი.

ზოგადი სტილი: ნინო მჭავანაძე, ქართლოს ქარუმძე, და რევაზ ჩარკვიანი. 2025. „რეგიონებიდან თბილისში სასწავლებლად ჩამოსული ეთნიკური უმცირესობების აკადემიური და სოციალური ინტეგრაცია; იდენტობის საკითხები“ ახალგაზრდობისა და სოციალური კვლევის ცენტრი (YSRC), საქართველოს უნივერსიტეტი.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანი

რეგიონებიდან თბილისში სასწავლებლად ჩამოსული აზერბაიჯანული და სომხური წარმოშობის სტუდენტების აკადემიური და სოციალური ინტეგრაციის საკითხების შესწავლა.

RQ1

ენა, იდენტობა და ბარიერები

როგორ მოქმედებს ქართული ენის ცოდნის დონე და იდენტობასთან დაკავშირებული სოციალურ-კულტურული ფაქტორები რეგიონებიდან თბილისში სასწავლებლად ჩამოსული ეთნიკური უმცირესობების სტუდენტების აკადემიურ ცხოვრებაზე, სოციალიზაციასა და მიკუთვნებულობის განცდაზე?

RQ2

საუნივერსიტეტო გარემო და სოციალური დინამიკა

რა გავლენას ახდენს საუნივერსიტეტო სოციალური გარემო, კერძოდ, ეთნიკურად ქართული სტუდენტების (უმრავლესობის) დამოკიდებულებები და აკადემიური/ადმინისტრაციული პერსონალის მიდგომები, ეთნიკური უმცირესობების სტუდენტთა სოციალიზაციასა და ინკლუზიაზე?

RQ3

ინსტიტუციური მხარდაჭერა და ეფექტიანობა

რა ინსტიტუციური მხარდაჭერის მექანიზმები არსებობს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და რამდენად ეფექტურია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი სტუდენტების აკადემიური წარმატებისა და სოციალური ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად?

კვლევის მეთოდოლოგია - თვისებრივი მეთოდები

6 ონლაინ ფოკუს-ჯგუფი

- სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტები
- აზერბაიჯანული წარმოშობის ქართველი სტუდენტები; სომხური წარმოშობის ქართველი სტუდენტები; ქართველი სტუდენტები.

9 სიდრმისეული ინტერვიუ

- უნივერსიტეტის ლექტორები (5)
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები (2)
- არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები (2)

ფოკუს-ჯგუფების კომპოზიცია

უნივერსიტეტის ტიპი	აზერბაიჯანული	სომხური	ქართული	მონაწილეები
სახელმწიფო	1 ჯგუფი	1 ჯგუფი	1 ჯგუფი	3 ქალი, 3 კაცი თითო ჯგუფში
კერძო	1 ჯგუფი	1 ჯგუფი	1 ჯგუფი	3 ქალი, 3 კაცი თითო ჯგუფში

კვლევის მეთოდოლოგიური შენიშვნა: დისკუსიები მიმდინარეობდა ქართულ ენაზე, თუმცა დისკუსიებს მოდერატორთან ერთად ესწრებოდა თარჯიმანი.

საველე სამუშაოები 2025 წლის ოქტომბერ-ნოემბრის თვეში ჩატარდა

ძირითადი თემები

- 1 ენობრივი ბარიერი — ფუნდამენტური გამოწვევა
- 2 სოციალიზაცია — „ეთნიკური კლასტერები“ საუნივერსიტეტო სივრცეში
- 3 იდენტობა — ზოგიერთ შემთხვევაში თავის „უცხოელად“ გრძნობა
- 4 ინსტიტუციური მხარდაჭერა — სუსტი, კეთილ ნებაზე დამოკიდებული
- 5 დასკვნა და რეკომენდაციები


1

ენობრივი ბარიერი

ფუნდამენტური გამოწვევა

1+4 საგანმანათლებლო პროგრამა: ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის მოდელი უმაღლეს განათლებაში

2010 წლიდან დანერგილი გამარტივებული სისტემა, რომელიც ენობრივი ბარიერის გადალახვასა და უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობას ისახავს მიზნად.



წყარო: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი. (n.d.). "1+4" საგანმანათლებლო პროგრამა <https://www.smr.gov.ge/ge/page/58/saganmanatleblo-programa>

ენობრივი ბარიერი - ფუნდამენტური გამოწვევა

ენობრივი ბარიერი

პრობლემა: ლექციის მოსმენა, რთული ტერმინოლოგიის გაგება და დავალებების დამოუკიდებლად შესრულება გართულებულია. სტუდენტებს უჭირთ გამოცდაზე შეკითხვების გაგება და საკუთარი აზრის წერილობით გადმოცემა. *(ლექტორების დაკვირვება)*

აკადემიური პასიურობა

შედეგად: სტუდენტები თავს არიდებენ დისკუსიებსა და პრეზენტაციებს (ქართულად საუბრისა და შეცდომის დაშვების კომპლექსი). *(ლექტორების დაკვირვება)*

ალტერნატიული სივრცეების ძიება

შედეგი: მიუხედავად იმისა, რომ მონაწილეებს სწავლის მიტოვების გადაწყვეტილების განზრახვა არ აქვთ, ექსპერტების შეფასებით, სწავლის მიტოვების შემთხვევები მაღალია. ლექტორების დაკვირვებით, ზოგჯერ იძულებულნი ხდებიან ეძებონ „უსაფრთხო გარემო“ და შეიცვალონ პროგრამა ან გადავიდნენ სასწავლებელში, სადაც უფრო „მარტივად ისწავლიან“.

გამკლავების სტრატეგიები

პრეზენტაციის ინდივიდუალურად გაკეთების თხოვნა;
ლექსიკონების გამოყენება;
მასალების რუსულ ენაზე თხოვნა;
ChatGPT ან სხვა ხელოვნური ინტელექტის გამოყენება მასალის შინაარსის გასაგებად. *(სტუდენტების რეფლექსია და ლექტორების დაკვირვება)*

“ „ლექციაზე უნივერსიტეტში ქართულად ვსაუბრობ, სახლში ვბრუნდები უკვე აზერბაიჯანულად ვლაპარაკობ, მეგობრებში დავდივარ აზერბაიჯანულად... ეს ხელს მიშლის.“
- ქალი, აზერბაიჯანული წარმოშობის, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი

ქართული ენის შესწავლასთან დაკავშირებული ბარიერები

ექსპერტების აზრით, ენის ცოდნის დეფიციტი უნივერსიტეტამდე იწყება: სასკოლო დონის გამოწვევები განსაზღვრავს სტუდენტის შესაძლებლობებს.

მასწავლებლები და სასწავლო მასალა	აკადემიური უნარების კრიზისი	არაქართულენოვანი გარემო
<p>სკოლებში ქართული ენის მასწავლებლები ხშირად თავადაც ვერ ფლობენ სახელმწიფო ენას.</p> <p>სახელმძღვანელოები ასახავს სომხეთის ან აზერბაიჯანის დროშებს; ქართული ისტორიის წიგნები ეთნიკურ უმცირესობებს საერთოდ არ ახსენებს, სტუდენტები <i>“საკუთარ როლს ვერ ხედავენ”</i>.</p> <p><i>(ექსპერტთა მოსაზრებები)</i></p>	<p>სტუდენტები ზოგჯერ მშობლიურ ენაზეც ვერ მეტყველებენ გამართულად.</p> <p>გამოწვევა კრიტიკული აზროვნებისა და ტექსტის გააზრების საბაზისო უნარების დეფიციტია.</p> <p><i>(ექსპერტთა მოსაზრებები)</i></p>	<p>კომპაქტულ დასახლებებში არაქართულენოვანი გარემოა - სკოლა ქართულის ენის ერთადერთი სივრცეა. სახლი, სოციალური წრე და მედია მთლიანად არაქართულენოვანია.</p> <p><i>(ექსპერტთა მოსაზრებები)</i></p>

“ „უნივერსიტეტი უკვე... შედეგებს ხედავს, უნივერსიტეტი არ არის ის, რაც ამ პრობლემებს უნდა აგვარებდეს... პირიქით, სკოლამ უნდა აგვაროს ეს ყველაფერი“ - ექსპერტი, სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი

ქართული ენის შესწავლის დემოტივაცია: სოციალურ-პოლიტიკური მიზეზები

ექსპერტების აზრით, ენის სწავლის მოტივაციის ნაკლებობას სტრუქტურული სოციალური მიზეზები უდევს საფუძვლად

ნეპოტიზმი რეგიონებში

რეგიონებში საჯარო სამსახურებში კადრები კომპეტენციით არ მიიღება, არამედ *“კლანური მმართველობით”, “ვიღაცის ნათესაობით”*. ამ დაკვირვებამ თემში განათლების მიღების მოტივაცია დაწია.

სტერეოტიპები დედაქალაქში

კერძო სექტორშიც გვარზე დაყრდნობით ირჩევენ კადრებს. ბილინგური, საერთაშორისო გამოცდილების მქონე მაგისტრი — სტაჟირებაზეც კი არ აიყვანა შერიგების სამინისტრომ. *“სახელმწიფო ინტეგრირებული კადრების დაკარგვას ვახდენთ”*.

პროფორიენტაციის არარსებობა

რეგიონებში შრომის ბაზრის კვლევა არ ტარდება. სტუდენტები პროფესიებს *“ბრმად”* ირჩევენ.

შედეგი: ენა და კვალიფიკაცია სოციალური წინსვლის გარანტია ვერ ხდება.

“„ადგილობრივმა სკოლებმა პროფორიენტაციის საკითხებზე კარგი იქნება, რომ კონსულტაციები ერთი კვირა მაინც გააკეთონ და აუხსნან ამ ადამიანებს, რომ არ არის აუცილებელი 300 და 400 საერთაშორისო ურთიერთობებზე მოდიოდეს, იმიტომ, რომ ვერ დასაქმდებიან მაინც, აზრი არ აქვს. ძალიან მწირია შანსი, რომ ამ პროფესიით დასაქმდეს ადამიანი“ - პროგრამის ხელმძღვანელი სახელმწიფო უნივერსიტეტში

2

სოციალიზაცია


„ეთნიკური კლასტერები“ საუნივერსიტეტო სივრცეში

სოციალიზაციის ნაცვლად სეგრეგაცია

ლექციებზე ჯგუფური სამუშაოების შესრულებისას ჯგუფების კომპოზიციის შედგენა უმეტესწილად თავად სტუდენტებზეა დამოკიდებული, რაც საბოლოო ჯამში ჯგუფების ეთნიკური მანასიათებლის მიხედვით დაყოფას იწვევს.

შედეგად ქართულენოვან სტუდენტებთან კომუნიკაცია შესაძლებელზე ნაკლებია.

(ლექტორების დაკვირვება)



ეთნიკურად ქართველი სტუდენტები

“ეთნიკური კლასტერები”

“უფრო თავიანთი ენის წარმომადგენლებთან არიან კომუნიკაციაში, ვიდრე ჩვენთან... ალბათ, მათ წარმომადგენლებთან უფრო ურჩევნიათ კომუნიკაცია, ვიდრე ჩვენთან” - ქალი, ეთნიკურად ქართველი, კერძო უნივერსიტეტის სტუდენტი

სოციალიზაციის ნაცვლად სეგრეგაცია

სეგრეგაცია ყველაზე ნათლად ლექციებს შორის შესვენებებზე, არაფორმალურ გარემოში ვლინდება.

ქართველი სტუდენტები (აქტიური, სოციალიზაცია)

- ტოვებენ აუდიტორიას, მიდიან კაფეში, ეწევიან, აქტიურად ეკონტაქტებიან ერთმანეთს.
- **შედეგი:** ქმნიან საერთო არაფორმალურ ქსელებს, რომელშიც ეთნიკური უმცირესობები არ არიან ჩართული.

უმცირესობების წარმომადგენლები (პასიური სოციალიზაცია)

- რჩებიან აუდიტორიაში თავიანთ ადგილებზე და ელოდებიან მომდევნო ლექციის დაწყებას.
- **შედეგი:** კონტაქტი შემოიფარგლება მხოლოდ თავიანთი ეთნიკური ჯგუფის ვიწრო წრით.


„ ქართველები შესვენებებზე და რაღაცეებზეც უფრო მეტად აქტიურად, ჩავლენ ქვემოთ, ყავას დალევენ, რაღაცას გააკეთებენ. ეთნიკური უმცირესობები უფრო სხედან ხოლმე შესვენებაზე, შიგნით, ელოდებიან ხოლმე.“ - კერძო უნივერსიტეტის ლექტორი

ინტეგრაცია ცალმხრივი არ არის: ეთნიკური უმრავლესობის როლი

ინტეგრაციის ტვირთი ეთნიკურ უმცირესობებზეა დაკისრებული.



სოციალური დისტანცია



ქართველი სტუდენტების დამოკიდებულება უმეტესად **ნეიტრალურია** - არ რიყავენ უმცირესობებს, თუმცა არც ინიციატივას იჩენენ. (ლექტორების დაკვირვება)

კომუნიკაცია **ზედაპირულია** და მხოლოდ ფორმალური სალექციო სივრცით შემოიფარგლება (საერთო კულტურული და სოციალური ინტერესების გადაკვეთის გარეშე).

(ლექტორების დაკვირვება)

“ჩვენ ხშირად გავდივართ ხოლმე [კაფეში], მაგრამ ისე გამოდის, რომ მხოლოდ ქართველები... არ მყავს ესეთი ახლო მეგობარი [ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი], ვისაც მე ვთხოვ, რომ ერთად გავიდეთ.” - კაცი, ეთნიკურად ქართველი, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი

სეგრეგაციის ხელშემწყობი ფაქტორი: დისკრიმინაციული შემთხვევები

პროფესიული ეთიკის დარღვევა უმაღლეს სასწავლებლებში: კვლევა ავლენს აკადემიური პერსონალის ნაწილის მხრიდან მულტიკულტურულ ჯგუფებთან მუშაობის უნარის დეფიციტს. ეს გამოიხატება აგრესიებში, არაეთიკურ და პირდაპირ სეგრეგაციულ განცხადებებში (რაც მეტწილად სახელმწიფო უნივერსიტეტებში ფიქსირდება). (სტუდენტების შეფასება)

გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია: აკადემიური შესაძლებლობების (მაგ. გაცვლითი პროგრამების) შეზღუდვა სტერეოტიპების საფუძველზე (მაგალითად, მოლოდინი, რომ ქალი სტუდენტები კონკრეტული რეგიონებიდან სწავლას ოჯახის შექმნის გამო შეწყვეტენ). (სტუდენტების შეფასება)

ენობრივი სტიგმატიზაცია ყოველდღიურობაში: საზოგადოებრივ სივრცეებში და ტრანსპორტში ქართული ენის არასრულფასოვანი ფლობის ან მშობლიურ ენაზე საუბრის გამო გამოვლენილი ვერბალური კრიტიკა. (სტუდენტების შეფასება)

“...თათარი არისო, მერე მამაჩემი რომ მივიდა სკოლაში, უკვე უთხრა, ასე არ შეიძლებაო და მაგის მერე არაფერი არ უთქვამთ.“ - სტუდენტი, აზერბაიჯანული წარმოშობის, ქალი

“...ავტობუსში ვლაპარაკობდით სომხურად და თქვა რატომ, საქართველოში ვცხოვრობთ და უნდა ქართულად ვილაპარაკოთ.“
- კაცი, სომხური წარმოშობის, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი

3

იდენტობა

თავის „უცხოელად“ გრძნობა

იდენტობასთან დაკავშირებული დილემა

მიკუთვნებულობა

რესპონდენტი ეთნიკური უმცირესობების დიდი ნაწილი თავს სრულფასოვან მოქალაქედ მიიჩნევს.

(სტუდენტების რეფლექსია)

გაუცხოება

ნაწილი თავს "უცხოელად" გრძნობს საერთო კულტურული კონტექსტის არარსებობისა და ენობრივი ბარიერის გამო.

(სტუდენტების რეფლექსია)

ალტერნატივა (რიგ შემთხვევებში)

აზერბაიჯანული წარმოშობის სტუდენტებში იკვეთება თურქულ იდენტობასთან უფრო ძლიერი ემოციური ბმა (განპირობებული ტრადიციული და რელიგიური განსხვავებებით).

(სტუდენტების რეფლექსია)

“საქართველოში ვარ, ეს რომ ეროვნულად სომეხი ვარ, ეს არაფერი არ ნიშნავს, საქართველოში ვარ და ეს არის ჩემი ქვეყანა” - კაცი, სომხური წარმოშობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი

„ჩვენ ყველანი საქართველოში დაბადებულნი ვართ, აქ ვცხოვრობთ... საქართველო ძალიან მიყვარს და სხვაგან ვერ ვიცხოვრებ“ - ქალი, აზერბაიჯანული წარმოშობის კერძო უნივერსიტეტის სტუდენტი

“„მე აზერბაიჯანული ტრადიცია უფრო კარგად ვიცი, ვიდრე ქართული ტრადიცია და მისი კულტურა და მაგიტომ აქ, საქართველოს მოქალაქე, ვგრძნობ, რომ მე უცხოელი ვარ. ქართველების კულტურა არ ვიცი ისე კარგად, მაგრამ მაინტერესებს რომ ვისწავლო“ - ქალი, აზერბაიჯანული წარმოშობის, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი

“„ქართველები, მე როგორც ვფიქრობ, სხვანაირები არიან. თურქები და აზერბაიჯანელები უფრო სხვანაირები არიან. თუნდაც ცხოვრების სტილი იყოს, გარემო იყოს, რა ვიცი, ყველაფერი... ალბათ, ეს უფრო იწვევს მაგას [გაუცხოებას].“ - ქალი, აზერბაიჯანული წარმოშობის, სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი

4

ინსტიტუციური მხარდაჭერა

სუსტი, კეთილ ნებაზე დამოკიდებული

ინსტიტუციური უხილავი ზონები: უნივერსიტეტის პასუხისმგებლობა

უნივერსიტეტები ხშირად ვერ უზრუნველყოფენ ინკლუზიურ გარემოს და პროცესს მხოლოდ ცალკეული ლექტორების ენთუზიაზმს ანდობს.



მულტიკულტურულ აუდიტორიასთან მუშაობის გამოცდილების არქონა

ლექტორების ნაწილს არ აქვს მულტიკულტურულ აუდიტორიასთან მუშაობის გამოცდილება. ფიქსირდება დისკრიმინაციული ფრაზები.
(სტუდენტთა და ლექტორთა შეფასებები)



ინსტიტუციური ვაკუუმი

ძირითადად, არ არსებობს ლექტორების გადასამზადებელი მოდულები თუ როგორ იმუშაონ მულტიკულტურულ აუდიტორიასთან
(ლექტორთა შეფასებები)



სერვისების შესახებ ნაკლებ ინფორმირებულობა

სტუდენტებს არ აქვთ ინფორმაცია სტუდენტურ კლუბებსა და გაცვლით პროგრამებზე.
დაფინანსების შესაძლებლობებზე
(სტუდენტების რეფლექსია)

ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის სტრატეგია - წარმატებული მაგალითი (საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის ქეისი)



დამხვედრი გარემოს მომზადება

- **მთავარი მექანიზმი:** საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები სტუდენტებთან.
- **პროცესი:** ლექტორები წინასწარ გადიან მოსამზადებელ შეხვედრებს ქართველ სტუდენტებთან
- **მიზანი:** ახალი ნაკადის („1+4“ პროგრამის სტუდენტების) სწრაფად და უმტკივნეულოდ ადაპტაციის უზრუნველყოფა.



სტუდენტური მხარდაჭერა

- **მთავარი მექანიზმი:** სტუდენტური მხარდაჭერის კურსი (კურსდამთავრებულთა ინიციატივითა და საუნივერსიტეტო გრანტით).
- **პროცესი:** ქართველი მოხალისეების დანმარება აკადემიურ მომზადებასა და დავალებების შესრულებაში.
- **ინსტიტუციური სტიმული:** მოხალისეობა ქართველ სტუდენტებს სტიპენდიის რეიტინგში დამატებით ქულებად ეთვლებათ.



სტრუქტურული დესეგრეგაცია


- **მთავარი მექანიზმი:** ჯგუფების „ხელოვნური შერევა“.
- **პროცესი:** სემინარებზე ეთნიკური უმცირესობების მცირე რაოდენობით გადანაწილება (მაქსიმუმ 2 სტუდენტი) ქართულენოვან ჯგუფებში.
- **შედეგი:** ე.წ. „ეთნიკური კლასტერების“ პრევენცია და სტუდენტების წახალისება, დაამყარონ კომუნიკაცია ქართველ თანატოლებთან.

წარმატების გასაღები — ინტეგრაცია არა როგორც სპონტანური პროცესი, არამედ როგორც მართვადი სისტემა, რომელიც ერთდროულად ართიანებს სტუდენტურ მოტივაციას (სტიპენდიები), აკადემიურ პერსონალს (ლექტორების ჩართულობა) და ადმინისტრაციულ დაგეგმვას (აკადემიის სტრუქტურა).

5


დასკვნა და რეკომენდაციები

ენობრივი ბარიერი უარყოფითი შედეგების ჯაჭვს იწვევს



გამოსავალი: ჰიბრიდული სამოქალაქო იდენტობის ფორმირება

ერთ-ერთი ექსპერტის აზრით, ახალი იდენტობის კონსტრუირება მოხსნის გაუცხოებას და გაზრდის სახელმწიფოსთან სრულფასოვანი მიკუთვნებულობის განცდას.



“
„მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ერთ-ერთი მთავარი გამოსავალი 'ქართველი სომეხისა' და 'ქართველი აზერბაიჯანელის' იდენტობის ჩამოყალიბებაა.“ - ექსპერტი, პროგრამის ხელმძღვანელი სახელმწიფო უნივერსიტეტში, ლექტორი

გამოსავალი: სამოქალაქო ინტეგრაციის უზრუნველყოფის სტრატეგიული მოდელი

ღირებულებითი პარადიგმის ცვლილება

„სამოქალაქო პატრიოტიზმის“ მოდელზე გადასვლა

- ✓ მოქალაქეობის, როგორც საზოგადოების მთავარი გამაერთიანებლის აღიარება (ნაცვლად ეთნიკური და რელიგიური მიკუთვნებულობისა).
- ✓ უმცირესობის სეკურიტიზაციის („უსაფრთხოების რისკად“) შეჩერება.

(ექსპერტის მოსაზრება)


სოციოკულტურული ველის სინქრონიზაცია

საერთო კულტურული კონტექსტის შექმნა

- ✓ „კულტურული ვაკუუმის“ აღმოფხვრა მედიისა და ხელოვნების ინკლუზიურობით.
- ✓ ახალგაზრდებს შორის საერთო სასაუბრო თემებისა და სოციალიზაციის სივრცების გენერირება.

(ექსპერტის მოსაზრება)


გამოსავალი: სახელმწიფო დონეზე



„ჩვენ გვინდოდა, რომ ენობრივი კომპეტენცია დადგენილიყო მისაღები გამოცდით, თუმცა მას გავლენა არ ჰქონოდა ჩარიცხვაზე. ნულოვანი კომპეტენციითაც ჩარიცხულიყო, თუმცა გვეცოდნოდა, რომ ნულოვანი კომპეტენცია აქვს ობიექტური გამოცდის შედეგად და მისაღებ გამოცდაზე ქართული ყოფილიყო, ყველა აბიტურიენტს სცოდნოდა, რომ ქართულს ჩააბარებდა და აქედან, ამ შედეგებიდან გამომდინარე დაგეგმილიყო უკვე პროგრამა.“ - ექსპერტი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი

გამოსავალი: ცალკეული ინიციატივები

სისტემური ხარვეზის ფონზე, ცალკეული ინიციატივები აჩვენებს გამოსავალს



„შარშან ვიყავი ერთ ბანაკში... მარტო მე ვიყავი სომეხი და ესე ვთქვათ, [დანარჩენი] ქართველი მეგობრები... ებოთხი დღე, ერთ წელს შევადარებ იმიტომ, რომ ბევრი ვისწავლე მართლა.“ - კაცი, სომხური წარმოშობის, კერძო უნივერსიტეტის სტუდენტი



UG ახალგაზრდობისა და სოციალური კვლევის ცენტრი

მადლობა ყურადღებისთვის!

მონაცემების გამოყენებისას გთხოვთ, გამოიყენოთ ციტირების შემდეგი ფორმა:

APA სტილი: მჟავანაძე, ნ., ქარუმიძე, ქ., & ჩარკვიანი, რ. (2025). „რეგიონებიდან თბილისში სასწავლებლად ჩამოსული ეთნიკური უმცირესობების აკადემიური და სოციალური ინტეგრაცია; იდენტობის საკითხები“. ახალგაზრდობისა და სოციალური კვლევის ცენტრი (YSRC), საქართველოს უნივერსიტეტი.

ზოგადი სტილი: ნინო მჟავანაძე, ქართლოს ქარუმიძე, და რევაზ ჩარკვიანი. 2025. „რეგიონებიდან თბილისში სასწავლებლად ჩამოსული ეთნიკური უმცირესობების აკადემიური და სოციალური ინტეგრაცია; იდენტობის საკითხები“ ახალგაზრდობისა და სოციალური კვლევის ცენტრი (YSRC), საქართველოს უნივერსიტეტი.